პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

18 ივნისი, შაბათი, 1988 წ.
№ 117 (9784) ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

სსრ კავშირის ჩემპიონატი წყალბურთში

ბოლო შეხვედრებში გადაწყდება

ორდღიანი შესვენების შემდეგ მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის საცურაო აუზში განახლდა უმაღლესი ლიგის წყალბურთელთა 44-ე საკავშირო ჩემპიონატის დასკვნითი ტურის მატჩები.

თბილისის „დინამოს" მორიგი მეტოქე შავი ზღვის მეზღვაურთა (სევასტოპოლი) გუნდი იყო. თბილისელებმა მინიმალური სხვაობით მოიგეს პირველი პერიოდი (2:1), მეორეში ინიციატივა დაუთმეს სევასტოპოლელებს, რომლებიც დაწინაურდნენ კიდეც 4:3. მაგრამ ეს იყო მეზღვაურთა ბოლო წარმატება ამ შეხვედრაში. მომდევნო ორი პერიოდი თბილისელთა უპირატესობით აღინიშნა (3:0 და 3:2) რამაც ჩვენს გუნდს საბოლოო გამარჯვება მოუტანა — 9:6.

ჩემპიონატის ოქროს მედლებისთვის მოსკოვის კოლექტივები „დინამო" და ცსკ ვმფ იბრძვიან. ამ ბრძოლაში დაწინაურებული იყვნენ სამხედრო მეზღვაურები, მაგრამ „დინამომ" პრინციპული ურთიერთშეხვედრა მოიგო ანგარიშით 11:7 (5:0, 2:1, 1:4, 3:2) და ქულათა სხვაობა მინიმუმამდე დაიყვანა.

ბოლოსწინა ტურში ორივე ლიდერმა გაიმარჯვა. მეზღვაურებმა ხარკოვის „ლოკომოტივს" აჯობეს 13:7, დინამოელებმა პაქოელ მეზღვაურებს — 13:7. მათ შორის ერთქულიანი სხვაობაა.

თბილისის „დინამო" ამ დღეს ალმა-ათის თანაკლუბელებთან დამარცხდა — 6:9 (0:3, 0:2, 2:1, 4:3).

აბიტურიენტთა საყურადღებოდ!

როგორც ადრე ვატყობინებდით, 18 ივნისიდან რესპუბლიკის რეგიონებში, სადაც უმაღლესი სასწავლებლებია, მუშაობას იწყებენ ფიზიკურ მომზადებაში ჩასათვლელი ნორმატივების მიმღები კომისიები.

გაგაცნობთ გრაფიკს, საიდანაც შეიტყობთ, რომელი კომისია რომელ სპორტულ ბაზებზე იმუშავებს:

1. „ლოკომოტივის" სტადიონი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომისია — 9-დან 15 საათამდე;
2. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონი. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კომისია — 9-15;
3. ვ. ი. ლენინის სახელობის სტადიონი (კონსტიტუციის ქუჩა). ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის კომისია — 9-15;
4. ფიზკულტურის ინსტიტუტის სტადიონი. უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის კომისია—9-15;
5. თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სტადიონი. თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის კომისია— 9-12, 17-20;
6. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტადიონი. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კომისია — 9-15;
7. საქართველოს ზოოვეტერინარული ინსტიტუტის სტადიონი. საქართველოს ზოოვეტერინარული ინსტიტუტის კომისია — 10-17;
8. სტუდქალაქის (ვაკე) სტადიონი. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის, თბილისის სამხატვრო აკადემიისა და საქართველოს თეატრალური ინსტიტუტის კომისიები — 9-15;
9. სოხუმის ცენტრალური სტადიონი. აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომისია — 9-12, 17-20;
10. საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის სტადიონი. საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის კომისია — 9-12, 17-20;
11. ბათუმის „დინამოს" სტადიონი. ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის კომისია — 9-15;
12. ცხინვალის ცენტრალური სტადიონი. სამხრეთ ოსეთის პედაგოგიური ინსტიტუტის კომისია — 9-12, 17-20;
13. ქუთაისის „ტორპედოს" სტადიონი. ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის კომისია — 9-15;
14. ქუთაისის „ტორპედოს" სტადიონი. ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კომისია. 9-15;
15. გორის ცენტრალური სტადიონი. გორის ეკონომიკური ინსტიტუტის კომისია — 9-15;
16. თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის სტადიონი. თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის კომისია — 9-12, 17-20.

შენიშვნა: მთავარი კომისია მუშაობს სტუდქალაქის სტადიონზე 17-დან 18 საათამდე. კომისიები ყველგან იმუშავებენ ყოველდღე, გარდა ორშაბათისა.

სეულის ოლიმპიადის წინ

სსრ კავშირის ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში

როგორ დაკომპლექტდება?

კრასნოიარსკი. თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა აქ მიმდინარე საკავშირო ჩემპიონატი უკანასკნელი დიდი შეჯიბრებაა სეულის ოლიმპიადის წინ და ამიტომ სწორედ ამ ტურნირზე დადგინდება საბჭოთა კავშირის ნაკრების საბოლოო სახე.

საქართველოს მოჭიდავეებმა ეს ტურნირი არც თუ წარმატებით დაიწყეს. ხუთი წონითი კატეგორიის მოჭიდავეთაგან (48, 52, 74, 90 და 100 კგ) დამაჯერებლად გამოდის და ეს ასეც უნდა ყოფილიყო, მხოლოდ მსოფლიოს ჩემპიონი ლერი ხაბელოვი (100 კგ), მაგრამ უმჯობესია ყველაფერს რიგით მივყვეთ.

48 კგ. აქ საქართველოს მოჭიდავე არ გამოუყვანია.

52 კგ. გორელმა ნ. ნასყიდაშვილმა ორი შეხვედრა მოიგო და ბრძოლას განაგრძობს. ზ. ტატუაშვილი ჯერ კრასნოიარსკელ ს. ტოპოევთან დამარცხდა, მერე ხარკოველ ვ. სედიაკინთან და ასპარეზობას გამოეთიშა.

62 კგ. შ. მაჰომედოვმა ტურნირი კარგად დაიწყო და ზედიზედ ოთხი ბრძოლა მოიგო, მაგრამ მეხუთე და მეექვსე წრეში დამარცხდა და ახლა ტრიბუნებზე მაყურებელთა შორის გადაინაცვლა.

74 კგ. მ. როზამაშვილი ჯერჯერობით ბრძოლას განაგრძობს. მან პირველ წრეში მოსკოველ დ. შმაჩილინს მოუგო, დამარცხდა გ. აკოფიანთან (გროზნო), მერე კი ალმაათელ ი. ხაჯაევს აჯობა. მ. სირაძემ ორი გამარჯვების შემდეგ მესამე წრეში წაიბორძიკა და... შეჯიბრებას აღარ განაგრძობს.

90 კგ. მ. რაზმაძემ დაამარცხა ა. კოლობკოვსკი (ჩერკესკი) და მსოფლიო ჩემპიონს მ. ხადარცევს შეხვდა. ეს ორთაბრძოლა ტიტულოვანი მოჭიდავის გამარჯვებით დამთავრდა, მერე რაზმაძემ ზედიზედ კიდევ სამი შეხვედრა მოიგო, სძლია ს. პეშინსკის (ულან-უდე), მ. მადაგაშოვს (გროზნო) და შ. აბდურაჰმანოვს (ტაშკენტი).

ამ წონაში ასპარეზობას გამოეთიშა ვ. სულთანიშვილი. რ. არუთინიანთან (მოსკოვი) წაგების შემდეგ ორჯონიკიძელი ი. მალდიხოვი დაამარცხა, მაგრამ მესამე წრეში გროდნოელ გ. კამასინთან ორთაბრძოლაში ხელი მოეცარა.

100 კგ. როგორც აღვნიშნეთ, ამ წონაში მთავარი ფავორიტია ლ. ხაბელოვი, რომელმაც სამი მეტოქე (ტაშკენტელი ვ. დოლუენკო, მოსკოველი ვ. ზახაროვი და გორელი თ. ინდუაშვილი) უკვე გზიდან ჩამოიცილა.

ასპარეზობას ერთი გამარჯვებისა და ორი მარცხის შემდეგ გამოეთიშა თ. ინდუაშვილი. მისი ბედი გაიზიარა კ. კუპატაძემაც. ზ. ტყეშელაშვილს ჯერჯერობით ერთი მოგება და ამდენივე წაგება აქვს.

„იმედის სტარტები"

მიმდინარეობს „იმედის სტარტების" პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებები, რომლებიც ფაქტობრივად ჩვენი სპორტის ხვალინდელი დღის დათვალიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიებაა. ამ სურათზე, რომელსაც დღეს გთავაზობთ, თქვენ ხედავთ თბილისის „დინამოს" და სამტრედიის ნორჩ კალათბურთელთა გუნდების შეხვედრის მომენტს.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

პირველი პრიზი — თამაზ გიორგაძეს

ესპანეთის ქალაქ ჯვილიაში დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ხუთი ქვეყნის ათი მოჭადრაკე თამაშობდა. ვაჟებს შორის იყო ერთი ქალი — შვედი პია კრამლინგი. საბოლოოდ, 9 შესაძლებლიდან 7 ქულით I ადგილი დაიკავა თბილისელმა საერთაშორისო დიდოსტატმა თამაზ გიორგაძემ, II-III ადგილები გაიყვეს პია კრამლინგმა და რეინალდო ვერამ (კუბა), IV-V — ხუან ლოპეს ბელონმა (ესპანეთი) და პედრო გარსიამ (კუბა).

ვინ მოიპოვებს საგზურს?

როგორც იცით, 18 წლამდე ასაკის მოჭადრაკე გოგონათა საბჭოთა კავშირის პირველობაზე, ოსტატობის კანდიდატმა თეა ლანჩავამ კადეტთა შორის II ადგილი, ხოლო გოგონებში III ადგილი დაიკავა.

ასევე კარგად ითამაშა როსტოველმა ოსტატობის კანდიდატმა ელენა კოვალევსკაიამ და აი, ამ რამდენიმე დღის წინ მინსკში დაიწყო ამ მოჭადრაკეთა მატჩი 14 წლამდე ასაკის გოგონათა მსოფლიო პირველობის საგზურისთვის.

მეტოქეები 6 პარტიას გაითამაშებენ. მატჩის ფრედ (3:3) დამთავრების შემთხვევაში დაინიშნება ორი დამატებითი პარტია. თუ ისიც ყაიმით დამთავრდა, მაშინ თამაში გაგრძელდება პირველ მოგებამდე.

5 პარტიის შემდეგ ანგარიშია 3:2 ქართველი მოჭადრაკის სასარგებლოდ.

საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატი კალათბურთში

ქუთაისელებს — ბრინჯაოს მედლები

კალათბურთის მოყვარულებმა უკვე იციან, რომ რესპუბლიკის ჩემპიონის წოდება თბილისის „სინათლემ" მოიპოვა, რომელმაც ორ დაძაბულ სუპერფინალურ მატჩში უნივერსიტეტის კოლექტივი დაამარცხა. ამ გუნდებმა ფაქტიურად შარშანდელი სუპერფინალი გაიმეორეს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მაშინ რესპუბლიკის ჩემპიონი უნივერსიტეტის გუნდი გახდა.

წლევანდელ შეჯიბრებაში დარჩენილი იყო კიდევ ორი მატჩი, ე. წ. მცირე სუპერფინალი, სადაც ქუთაისისა და საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის კოლექტივებს ერთმანეთში უნდა კაენაწილებინათ III და IV ადგილები.

ჩატარდა ეს შეხვედრებიც. თბილისის მატჩი შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ ქუთაისელებმა მოიგეს (101:93), თუმცა პირველი ტაიმის შემდეგ ფიზკულტურის ინსტიტუტის კოლექტივი 9 ქულით იყო დაწინაურებული (56:47).

მეორე შეხვედრა უკვე ქუთაისში ჩატარდა. მასპინძლებმა მეტოქეს წარმატების ყველა შანსი გადაუწურეს და ხელმეორე გამარჯვებას მიაღწიეს — 103:97 (57:54). ამრიგად, ქუთაისის გუნდი რესპუბლიკის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი გახდა, მეოთხე ადგილი კი ფიზკულტურის ინსტიტუტის კალათბურთელებს ერგოთ.



ცურვის კვირეული

აქ მუდამ ხალხმრავლობაა

ამ დღეებში აუზებში, ტბებზე, წყალსაცავებსა თუ ზღვაზე დიდი გამოცოცხლება იგრძნობოდა. ბევრგან საინტერესო, კარგად ორგანიზებული ღონისძიებები გაიმართა, ზოგანაც „ცურვის კვირეული" მხოლოდ „კვირეულისთვის" ჩატარდა. არადა, მოსახლეობის ფართო ფენებისთვის ცურვის შესწავლა მხოლოდ „კვირეულის" დღეებში კი არა, მთელ წელიწადს უნდა გრძელდებოდეს. ადამიანი სისტემატურად უნდა ზრუნავდეს საკუთარი ჯანმრთელობისთვის და სპორტული ბაზაც მუდამ მათ სამსახურში უნდა იყოს.

ამ მხრივ სამაგალითოა თბილისის ლენინური კომკავშირის სახელობის საწყლოსნო კომპლექსი (დირექტორი ვლადიმერ გოიაშვილი), სადაც ჯანმრთელობის ჯგუფებში უამრავი ადამიანია გაერთიანებული და მუდამ ხალხმრავლობაა.

ერთი სიტყვით, აქ „ცურვის კვირეული" მართლაც ყოველდღიურად ტარდება

მადლობა გულისხმიერებისათვის

ძვირფასო რედაქცია! გთხოვთ თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გადასცეთ თბილისის „დინამოს" სტადიონის ხელმძღვანელობას და ჩვენს ინსტრუქტორს მ. არჩვაძეს, რომლებმაც ჩვენთვის საგანგებო ჯგუფი შექმნეს და გვამეცადინებდნენ ნორმატივების ჩასაბარებლად. ჩვენს გარდა აქ 300-ზე მეტი აბიტურიენტი მეცადინეობს. სიმართლე გითხრათ, თავიდან გვეშინოდა, მაგრამ თურმე სულ ტყუილად. ჩვენი ჯგუფიდან აბსოლუტურმა უმრავლესობამ ვარჯიშზე, პირველსავე დღეს ჩავაბარეთ სამი ნორმატივი, მაგრამ 18 ივნისამდე მაინც გავაგრძელეთ მეცადინეობა და ალბათ, არც არასდროს დავანებებთ თავს ვარჯიშს. ახლა მზად ვართ ჩათვლები ჩავაბაროთ ყველაზე მაღალი შედეგებით.

„დინამოს" სტადიონზე მომეცადინეთა ჯგუფი.

20 ივნისიდან ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონზე მუშაობას იწყებს აბიტურიენტთა მოსამზადებელი ახალი ჯგუფები. დაწვრილებითი ცნობებისთვის მიმართეთ სტადიონის დირექციას.

ხად, რა, როდის?

შაბათს და კვირას

თბილისში გაიმართება სპორტულ-მასობრივი ღონისძიებები. საქარხნო რაიონი უმასპინძლებს მძლეოსანთა, მაგიდის ჩოგბურთელთა, ბადმინტონისტთა და მინიფეხბურთელთა შეჯიბრებებს. საბურთალოსა და ორჯონიკიძის რაიონებში გაიმართება ასპარეზობა მინიფეხბურთში, ტურისტული ლაშქრობა მოეწყობა ლისის ტბის მიდამოებში.

ღონისძიებები დაიწყება 10 საათზე.

ამას გარდა, გუშინ ბაზალეთის ტბის მიდამოებში თავი მოიყარეს თბილისის საწარმო-დაწესებულებების წარმომადგენლებმა. პროგრამაშია ტურისტული ლაშქრობა ღამის თევით, მინიფეხბურთი, სიმძიმეების აწევა და ბაგირის გადაძლევა.

„ლელოს" კრიტიკული გამოსვლის კვალდაკვალ

წელიწადი გავიდა, რა გაკეთდა?

მიზანი კი მიუღწეველი დარჩა

„ლელოს" 1987 წლის 1 მაისის ნომერში გამოქვეყნდა წერილი სათაურით „სიღნაღლები", სადაც ლაპარაკი იყო სიღნაღის სპორტკომპლექსის შესახებ. ეს კომპლექსი გასული წლის 1 იანვრიდან სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადავიდა. სპორტკომპლექსის დირექტორმა ივანე ბაიდოშვილმა წერილში გაგვაცნო კომპლექსის მუშაობის პირობები, გვესაუბრა მიღწეულ წარმატებებზე, სამომავლო გეგმებზე, არსებულ პრობლემებზე. პრობლემები, მართლაც საკმარისი იყო. საქმე ისაა, რომ რაიონული ცენტრიდან სოფლებში საღამოს 6 საათის შემდეგ ავტობუსები აღარ დადიოდნენ, არც წნორთან დამაკავშირებელი საბაგირო გზა მუშაობს, ამიტომ საღამოს მომეცადინე ბავშვები 10-15 კილომეტრს ფეხით გადიოდნენ. რედაქციამ იმედი გამოთქვა, რომ ტრანსპორტის პრობლემას რაიონის ხელმძღვანელობა მოაგვარებდა და პასუხს „ლელოს" აცნობებდა.

ერთი თვის შემდეგ 1987 წლის 6 ივნისის „ლელოში" გამოქვეყნდა პარტიის სიღნაღის რაიკომის პასუხი.

„...გაცნობებთ, რომ უკვე მივიღეთ ზომები, ახლა რაიონის სპორტული კომპლექსის საიჯარო და სააბონემენტო სპორტულ-გამაჯანსაღებელი ჯგუფები მუშაობენ საღამოს 22 საათამდე. გარდა ამისა, წნორის სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საწარმოს ხელმძღვანელობას დაევალა საავტობუსო მარშრუტების — „სიღნაღი—წნორი" და „სიღნაღი — ბოდბე" ამ დრომდე გაგრძელება".

ცოტა ხნის წინათ ჩვენს რედაქციაში კიდევ ერთი წერილი შემოვიდა სიღნაღიდან, რომელიც გვამცნობდა, რომ სპორტულ დარბაზში არ იცავენ ჰიგიენის წესებს, მასწავლებლად მუშაობენ არაკვალიფიციური მწვრთნელები, რომლებიც ორ და სამ ადგილზე არიან გაფორმებული, შექმნილია ფიქტიური ჯგუფები. ავტორები გვთხოვდნენ ჩავრეულიყავით და მიგვექცია ყურადღება...

ადგილზე საკითხის შესწავლით გამოირკვა, რომ წერილი თავიდან ბოლომდე ცილისმწამებლურია — ვერავითარი ანტისანიტარია, ვერავითარი დარღვევა ჩვენ იქ ვერ აღმოვაჩინეთ. სპორტული და გამაჯანსაღებელი ჯგუფების მეცადინეობა ნორმალურ პირობებში მიმდინარეობს. მართალია, ყველა მწვრთნელი მაღალი რანგის სპეციალისტი არ არის, მაგრამ უყურადღებობას და უგულისყურობას მაინც ვერავის დავწამებთ. რამდენიმე მათგანი შეთავსებითაც მუშაობს, თუმცა ამით კანონი არ ირღვევა.

ჯერ სულ რაღაც წელიწადნახევარი გავიდა, რაც სიღნაღის სპორტული კომპლექსი თვითდაფინანსებაზე გადავიდა და დროის ამ მცირე მონაკვეთში თვალსაჩინო წარმატებებს მაინც მიაღწია — გასული წლის ოთხივე კვარტალში გაიმარჯვა რესპუბლიკურ სოცშეჯიბრებაში და შემოსავლის წლიური გეგმა 105%-ით შეასრულა. მიმდინარე წლის პირველი კვარტლის გეგმა 122%-ითაა შესრულებული, რაც უმაღლესი მაჩვენებელია რესპუბლიკაში. საშემოსავლო გეგმების შესრულების 90%-ზე მეტი სპორტულ და გამაჯანსაღებელ ღონისძიებებზე მოდის (დროდადრო კულტურული ღონისძიებებიც ტარდება).

კომპლექსს სპორტული ინვენტარის გამქირავებელი პუნქტიც აქვს. ახლახან საუნა შეიძინეს. დირექციის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ წელს კომპლექსის ტერიტორიაზე დაიწყება 25-მეტრიანი საცურაო აუზის და 122-ადგილიანი სასტუმროს მშენებლობა.

ამ წერილმა ერთი სამსახური მაინც გაგვიწია — აღმოჩნდა, რომ სიღნაღელთა უმთავრესი პრობლემა, მომეცადინეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის პრობლემა, კვლავაც გადასაჭრელია. თურმე მდგომარეობა მხოლოდ ორიოდე კვირით გამოსწორებულა და შემდეგ ყველაფერი ისევ ძველ კალაპოტში ჩამდგარა.

სიღნაღის სპორტკომპლექსი ერთ-ერთი საუკეთესოა რესპუბლიკაში. ალბათ დრო მოვა და ასეთი და უფრო უკეთესი სპორტული ბაზები თითებზე ჩამოსათვლელად კი არა, ყველა სოფელში გვექნება. მაგრამ მანამდე... რამდენად მიზანშეწონილი იყო მისი აშენება სიღნაღში (სხვათა შორის, სპორტული კომპლექსის ადგილზე მანამდე საკმაოდ კარგი სტადიონი იყო, რომლის ტრიბუნები აქამდე შემორჩა), სადაც 3300 კაცი ცხოვრობს, როცა წნორში, 12000-კაციან დასახლებულ პუნქტში არა თუ კომპლექსი, ერთი რიგიანი დარბაზიც კი არ არის. სიმართლე ხშირად მწარე მოსასმენია, მაგრამ მაინც მინდა ვთქვა: თავის დროზე დაისვა კითხვა — სად აეშენებინათ სპორტკომპლექსი, წნორში თუ სიღნაღში. ამ კითხვაზე სწორი პასუხის გაცემას ბევრი ფიქრი არ სჭირდებოდა, მაგრამ როგორც ჩანს, რაიონის მაშინდელ ხელმძღვანელთაგან ზოგიერთები ვერ გასცდნენ „ორღობის პატრიოტიზმს" და ყველაფერი იღონეს, რომ ბაზა მაინცდამაინც სიღნაღში აშენებულიყო. ამიტომაც მიზანი, შექმნილიყო სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრი, რომელიც რაიონის მოსახლეობის მაქსიმალურად ფართო მასებს მოემსახურებოდა, მიუღწეველი დარჩა.

ერთადერთი გამოსავალი ისღა რჩება, რომ სიღნაღის სპორტკომპლექსს საკუთარი ავტობუსი ჰყავდეს. მას გააჩნია საამისო სახსრები და მზადაა გაიღოს იგი. კომპლექსის დირექცია წინასწარ უხდის მადლობას ყველას, ვინც ამ საქმეში დაეხმარება.

ალექსი პაპოშვილი.
„ლელოს" საკ. კორ.
სიღნაღი.

როცა შეფი შეფობს

შარშან ბათუმში 42 მარტივი ტიპის სპორტული მოედანი მოეწყო, რამაც აშკარად გააქტიურა ქალაქში ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობა.

აჭარის სპორტსახკომმა და კომკავშირის საოლქო კომიტეტმა ახლახან ჩაატარეს მარტივი ტიპის სპორტული მოედნების დათვალიერება და საუკეთესოდ აღიარეს ინასარიძის ქუჩაზე მდებარე სპორტული მოედანი, რომელიც ბათუმის ქიმიურმა ქარხანამ მოაწყო. საშეფო ორგანიზაციამ იზრუნა იმისათვის, რომ მოსახლეობისათვის კეთილმოწყობილი სპორტული ბაზა ჩაებარებინა. ასეთ ბაზაზე კი, ბუნებრივია, ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობაც უფრო თვალსაჩინო და ეფექტურია.

გვესაუბრება ქარხნის დირექტორი ბორის ფაილოძე:

— ჩვენი საწარმოს თითოეულ მუშა-მოსამსახურეს კარგად აქვს შეგნებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის მნიშვნელობა. ამიტომ ყველამ თავისი წვლილი გაიღო, როცა ინასარიძის ქუჩაზე აღნიშნული სპორტული მოედნის მოწყობა გადავწყვიტეთ.

● **თქვენს მიერ აშენებული ბაზა მარტივი ტიპის სპორტული მოედნის ჩარჩოებს სცილდება, რადგან, აქ მინიფეხბურთის, კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები ცალ-ცალკე აგიშენებიათ, სარბენი ბილიკებიც მოგიწყვიათ, შეგიძენიათ იარაღები ვარჯიშისათვის. ყველაფერი ეს ალბათ დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული.**

— დიახ, მარტო შემოღობვაზე 22 ტონა ლითონი, 20 ტონა ასფალტი, ამდენივე კუბომეტრი წიდა დაგვჭირდა, ახლა კიდევ სალებავები, კალათბურთის ფარები, ფეხბურთის კარები, ფრენბურთის ბადე... სამუშაოებში სულ 12 ათას მანეთამდე დაიხარჯა, მაგრამ მეტი ხარჯი რომ გაგვეღო, უკან არ დავიხევდით, რადგან ჩვენ კეთილშობილ საქმეს შევეჭიდეთ, მოზარდი თაობის ჯანმრთელობისთვის ვზრუნავდით.

● **ხომ არ შეიძლება, ფრენბურთის სათამაშოდ კალათბურთის მოედნის გამოყენება, იქ კი, სადაც ახლა ფრენბურთის მოედანია, ჩოგბურთის კორტის მოწყობა. და კიდევ, უკვე გაუქმებული სახანძრო აუზის მაგივრად 25 მეტრიანი აუზის აშენება?**

მართლაც კარგი ჩანაფიქრია, შევეცდებით იგი რეალობად ვაქციოთ, ოღონდ ქიმიურ ქარხანას და ჩვენ, ამ ქარხნის ხელმძღვანელობას, მხარდაჭერა და გვერდში ამოდგომა გვესაჭიროება.

ლევან ქავჟარაძე,
„ლელოს" საკ. კორ.
ბათუმი.

დებიუტიც ასეთი უნდა

თბილისის 58-ე საშუალო სკოლის კალათბურთელი ბიჭების გუნდმა „მართვემ" დიდი ხანია შორს გაითქვა სახელი. „მართვე" ხშირად იმარჯვებდა როგორც რესპუბლიკურ, ისე საკავშირო ტურნირებში. აი, ამ სკოლის გოგონებს კი შედარებით მოკრძალებული მიღწევები აქვთ, მაგრამ როგორც ჩანს, ისინი ბიჭების დაწევას ცდილობენ. ახლახანს ამ სკოლის გოგონათა გუნდს, რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ: თამრიკო სამხარაძე, ხათუნა ჰანტურია, თამრიკო ტოგონიძე, თამრიკო სამადაშვილი, ქეთინო მაკასარაშვილი, ანა მელიქიძე, თათია მეტრეველი, თეა უსანეთაშვილი, თინა ელიოზიშვილი, ნანა ტომარაძე, სოფიკო ალაძე, ბელა დვალი და მერი ბესტავაშვილი (მწვრთნელი გოჩა სამხარაძე) საკავშირო სარბიელზე დებიუტი ჰქონდა. გუნდმა ნოვოროსიისკში გამართულ 1976-77 წლებში დაბადებულ მოზარდთა საკავშირო ტურნირში ყველას აჯობა. მან მოუგო ნოვოვორონეჟის (57:10), როსტოვის (27:22), ხარკოვის (34:22), უფისა (46:13) და მასპინძელთა (54:15) გუნდებს, ხოლო ვოლგოგრადელ თანატოლებთან დამარცხდნენ (19:31), ვოლოგდის გუნდთან კი ფრედ (25:25) ითამაშეს. საბოლოოდ თბილისისა და ვოლოგდის გუნდებს 11-11 ქულა დაუგროვდათ, მაგრამ ბურთების უკეთესი შეფარდების წყალობით პირველი ადგილი ჩვენს გოგონებს მიეკუთვნათ.

ამას გარდა, თბილისელთა გუნდის კაპიტანმა თათია მეტრეველმა საუკეთესო ბომბარდირისთვის განკუთვნილი პრიზი დაიმსახურა. იგი ტურნირის საუკეთესო მოთამაშედაც აღიარეს.

ნათელა ხოშტარია,
ავტორის ფოტო.

წარმატებით იასპარეზეს

კიევში ამას წინათ გამართულ გამოჩენილ ავიაკონსტრუქტორის ანტონოვის მოზარდ ჩოგბურთელთა საკავშირო ტურნირზე წარმატებით იასპარეზეს საქართველოს სპორტსმენებმა. კერძოდ, 1972-73 წ.წ. დაბადებულ გოგონათა შორის გაიმარჯვა ნატაშა კარსპუსოვამ (ქ. თბილისი, პროფკავშირების სპორტული სკოლა. მწვრთნელი საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი გ. ღარიბაშვილი), რომელმაც ფინალში დაამარცხა საბჭოთა კავშირის მოზარდთა ნაკრების წევრი, კიეველი ნ. ციგანი — 6:1, 7:6. ამავე ასაკის ჭაბუკებში გამარჯვება იზეიმა ოლიმპიური რეზერვის სკოლის აღსაზრდელმა თბილისელმა გია გორდაძემ (მწვრთნელი გ. ახალაძე). მან ფინალში სძლია კიეველ ნ. დოვბანს 6:3, 6:4. მესამე ადგილი აქ დაიკავა მისმა თანაგუნდელმა ანატოლი ახალაძემ.

წყვილთა თანრიგში (ჭაბუკები) გამარჯვებულები გამოვიდნენ თბილისელები ი. სვანიძე და ა. ახალაძე.

გივი ლუკაშვილი,
სპორტის ოსტატი.

14 მსაჯი და 17 მონაწილე

უნივერსიადა-88

ასეთი რამ სპორტულ შეჯიბრებაში იშვიათია, როდესაც ერთ სპორტსმენს ლამის ერთი მსაჯი ემსახურება. „უნივერსიადა-88"-ის პროგრამით მ[illegible]ასპარეზზე 17 ძალოსნის გამოსვლას 14 კაცი მსაჯობდა. ამ ასპარეზობაზე კიდევ ერთი რეკორდი დამყარდა: შეჯიბრება სამი დღის ნაცვლად ერთ დღეში დამთავრდა. რაც შეეხება სპორტულ შედეგებს, ასპარეზობა ამ მხრივაც გამორჩეული იყო. ხუთმა მონაწილემ გუნდს ჩასათვლელი ქულა ვერ მისცა, ხოლო 9 ძალოსანმა თავისი თანრიგის შესაბამისი ნორმატივი ვერ შეასრულა. ერთ-ერთმა ოსტატმა იმდენად „იყოჩაღა", რომ მეორე თანრიგის ნორმატივით დაასრულა შეჯიბრება.

მოკლედ, ძალოსანთა ეს შეჯიბრება ანალოგიურ ასპარეზობათა ისტორიაში ერთ-ერთ გამორჩეულ ადგილს დაიკავებს და ყველაფრის მიზეზი კი ისაა, რომ ამ სახეობას უმაღლეს სასწავლებლებში მინიმალური ყურადღება ექცევა.

კვარცხლბეკი. 60 კგ წონითი კატეგორია. გ. ჯოხაძე (სპი) — 197,5; 67,5 კგ. ჯ. ფუტკარაძე (ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტი) — 260; 75 კგ. მ. ლომთაძე (ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი) — 257,5; 82 კგ. ს. ჩეკურიშვილი (თელავის პედაგოგიური ინსტიუტი) —262,5; 90 კგ. ვ. გასიევი (სამხრეთ ოსეთის პედაგოგიური ინსტიტუტი) — 290; 100 კგ. ბ. ჩიტაძე — 322,5; 110 კგ. გ. ჩუბინიძე (ორივე — საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი) — 280.

გუნდური: საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი — 102 ქულა, სამხრეთ ოსეთის პედაგოგიური ინსტიტუტი — 96, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი — 91.

მასწავლებელთა პირადი მაგალითი

ნატანების სპორტის სასახლეში, ათასამდე მაყურებლის თანდასწრებით, კარგად ორგანიზებული ფინალური შეხვედრებითა და დიდი სპორტული აღლუმით დამთავრდა მახარაძის რაიონის მასწავლებელთა პირველი სპარტაკიადა.

მანამდე მათ განკარგულებაში იყო რაიონის საუკეთესო სპორტული ბაზები, სადაც 36 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის 1200-ზე მეტი მასწავლებელი ერთმანეთს ეჯიბრებოდა ჭადრაკში, შაშში, ტურიზმში, ტყვიის სროლაში, მინიფეხბურთში, ფრენბურთში. ისინი თავიანთ ოსტატობას აჩვენებდნენ დილის გამამხნევებელ ვარჯიშში და აერობიკაში, „მხიარული სტარტების" კომპლექსში, რომელშიც ხალხური თამაშები შედიოდა.

მასწავლებელთა სპარტაკიადამ ნამდვილად შეასრულა უმთავრესი მიზანი: აღმზრდელებმა პირადი მაგალითი მისცეს აღსაზრდელებს.

ცხადია, როცა სპორტულ და მით უფრო მასობრივ ღონისძიებებს ატარებენ, იქ დამარცხებული ფაქტიურად არავინ არის, მაგრამ გამარჯვებულთა შორის გამარჯვებულები კი ნამდვილად არიან.

სპარტაკიადის სამ სახეობაში: ჭადრაკში, შაშში, ტყვიის სროლაში გაიმარჯვა მე-2 საშუალო სკოლის მასწავლებელთა გუნდმა. ამ სკოლამ ასევე მეტად მომხიბვლელად წარმოადგინა აერობიკა.

ფრენბურთში პირველები იყვნენ ლაითურის საშუალო სკოლის წარმომადგენლები, ხოლო ძიმითის საშუალო სკოლის კოლექტივმა მინიფეხბურთში იყოჩაღა. ქალაქის პირველმა საშუალო სკოლამ კი ყველას ხალხურ თამაშებში აჯობა.

და ბოლოს, უნდა ითქვას, რომ სპარტაკიადის მთელი შემოსავალი გადაირიცხება შოთა რუსთაველის საზოგადოების ფონდში.

ნ. ნიკოლაიშვილი,
მახარაძის რაიონული გაზეთის „ლენინის დროშის" კორესპონდენტი.

საქალაქო სპარტაკიადაზე

ამას წინათ თბილისის ჭადრაკის სასახლეში დამთავრდა ქალაქის მოსწავლეთა 44-ე სპარტაკიადა ჭადრაკში.

შეჯიბრებაში მონაწილეობდა 10 გუნდი. (თითოეულ გუნდში 7 ჭაბუკი და 3 გოგონა).

62,5 ქულით I ადგილი დაიკავა პირველი მაისის რაიონის ნაკრებმა, რომლის შემადგენლობაში, დაფების მიხედვით, გამოდიოდნენ კახა ხაბურზანია, დავით ხუხაშვილი, კახა მახარაძე, ნოდარ პაპუკაშვილი, გელა გელაშვილი, გულბაათ ცხილაძე, მიშიკო მჭედლიშვილი, ნატო ეძგვერაძე, ნინო ღლონტი, თამარ ჩალაძე.

II ადგილი 58 ქულით წილად ხვდა ორჯონიკიძის რაიონის ნაკრებს.

III ადგილი — საბურთალოს რაიონის ნაკრებს — 56 ქულა.

თავიანთ დაფებზე გაიმარჯვეს: I დაფა — დათო უთმელიძემ — 8 ქულა, II — დათო ხოსრუაშვილმა — 8, III — ნინო ხურციძემ — 8,5, IV — შოთა მენაბდემ — 7,5, V — რეზო კრიხელმა — 8,5, VI — ლევან გოგოხიამ — 7,5, VII — მიშიკო მჭედლიშვილმა — 8, VIII — ნატო ეძგვერაძემ — 7,5, IX — ნინო ღლონტმა — 8, X — ეკა გახოკიძემ — 7.

აღსანიშნავია, რომ მონაწილეთა უმრავლესობა თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს ბავშვთა და მოზარდთა საჭადრაკო სკოლის აღსაზრდელია.

ვასილ ვაშაკიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თასი

უკეთ ითამაშეს

16 ივნისს თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონზე შედგა სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თასის მატჩი, თბილისის დინამოელებმა ბაქოს „ნეფთჩის" მეორე წრეშიც შინ უმასპინძლეს.

ახლა, როცა უმაღლესი ლიგის გუნდები საკავშირო ჩემპიონატის მატჩებისთვის ემზადებიან, საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ თბილისის „დინამომ" ბაქოს „ნეფთჩისთან" გაცილებით უფრო უკეთ ითამაშა, ვიდრე წინა შეხვედრებში. ბაქოელთა რიგებში ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე მოთამაშე გამოდიოდა (აზიმოვი, მირზოევი, ჯავადოვი, პანჩიკი, აბუშევი და სხვანი), მაგრამ თბილისელთა რიგებშიც გარკვეული ცვლილებები მოხდა, კერძოდ, ლანჩხუთის „გურიიდან" კვლავ უკან დააბრუნეს გ. ცაავა. მასპინძლები ამჯერად უფრო მობილიზებულნი იყვნენ, აქტიურად მოქმედებდნენ მთელ მინდორზე, ბევრს მოძრაობდნენ, იმათა კომბინაციებმა და შორეულმა გადაცემებმა, შეტევას მეტი სიმწვავე მიეცა, ხოლო დაცვაში ნაკლები იყო შეცდომები.



ყველაფერმა ამან პირდაპირი ასახვა ჰპოვა როგორც უშუალოდ თამაშის მსვლელობაში, ისე საბოლოო ანგარიშშიც. 4:0 — გაიმარჯვეს დინამოელებმა.

ანგარიში 42-ე წუთზე გახსნა ცაავამ. შესვენების შემდეგ დინამოელები კიდევ უფრო სწრაფად, ტემპიანად თამაშობდნენ, გ. ჯოშკარიანმა, კორღალიძემ და ქეცბაიამ კიდევ 3 ბურთი გაიტანეს „ნეფთჩის" კარში.

თბილისის „დინამომ" ასეთი შემადგენლობით ითამაშა: გაბელია, ფირცხალავა, თარბა, ჰედია, გ. ჯოშკარიანი (კორღალიძე), ტყებუჩავა, რევიშვილი, ცვეიბა, ქეცბაია, გურული (ფანცულაია), ცაავა (მესხი). იმსაჯა თ. ლაცაბიძემ (თბილისი).

ამ დღეს გაიმართა თასის სხვა მატჩებიც: „კაირატი" (ალმა-ათა) — „შახტიორი" (დონეცკი) 3:1, „დინამო" (მოსკოვი) — „ტორპედო" (მოსკოვი) 1:3, „ჩერნომორეცი" (ოდესა) — „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) 2:2, „დინამო" (კიევი) — „ჟალგირისი" (ვილნიუსი) 1:2, „დინამო" (მინსკი) — „ზენიტი" (ლენინგრადი) 3:1, „სპარტაკი" (მოსკოვი) — „ლოკომოტივი" (მოსკოვი) 8:1, „მეტალისტი" (ხარკოვი) — „არარატი" (ერევანი) 4:1.

ევროპა, ევროპა...

კონტინენტის VIII საფეხბურთო ჩემპიონატის ფინალური ტურნირის ჯგუფური შეჯიბრებები დასასრულს მიუახლოვდა. 2 ტურის შემდეგ გამოვლინდნენ მხოლოდ ისინი, რომელთა პერსპექტივა ნახევარფინალში გასასვლელად ძალზე ულიმღამოა, რადგან დანიისა და ინგლისის გუნდებს მესამე ტურისთვის არც ერთი ქულა არა აქვთ, ჩემპიონატი ამ გუნდების გარეშე გაგრძელდება.

მაგრამ თუ დანიის ნაკრებს პროგნოზებით წარუმატებლობას უწინასწარმეტყველებდნენ, ინგლისელთა მარცხი ერთობ მოულოდნელია. გუნდის ბოლო წლების მიღწევათა შემდეგ ინგლისელთა ეს ჩავარდნა ჩემპიონატის ნამდვილი სენსაციაა.

თუმცა, ინგლისელები, საერთოდ, უიმედოდ „ჩამოსაწერნი" არ არიან, ვინაიდან ჰოლანდიის გუნდთან მათ საინტერესოდ, შინაარსიანად ითამაშეს, ჰოლანდიელებმა კი ამ მატჩში მთელი თავიანთი მდიდარი შესაძლებლობანი გამოავლინეს, ინგლისელებმა მათ წინააღმდეგ აშკარად ვერაფერი გააწყეს. ანგარიში 44-ე წუთზე გახსნა ვან ბასტენმა, შემდეგ კი იმავე ვან ბასტენმა, რომელიც წინა წლებში ევროპის „ოქროს ბუცისა" და „ვერცხლის ბუცის" ლაურეატი იყო, 73-ე და 76-ე წუთებზე კიდევ ორჯერ აიღო ინგლისელთა კარი. ერთადერთი საპასუხო ბურთი რობსონმა გაიტანა 55-ე წუთზე.

ფრიად საყურადღებო იყო ირლანდიისა და სსრ კავშირის ფეხბურთელთა შეხვედრა. მოგებული გუნდი პირდაპირ ინაღდებდა ნახევარფინალის საგზურს, მაგრამ სწორედ ამ მატჩში არ გამოვლინდა გამარჯვებული და ორივე გუნდს ბოლო ტურში კვლავ მოუწევს თავგამოდებული ბრძოლა იმ საჭირო ქულის ასაღებად.

საბჭოთა ფეხბურთელებმა ამ მატჩში აშკარად ვერ აჩვენეს თავიანთი საბრძოლო მზადყოფნა. გუნდი მოქმედებდა შებორკილად, გაუბედავად და როცა ირლანდიელთა ნახევარმცველმა ველანმა მე-40 წუთზე აუტიდან მოწოდებული ბურთი მეტად ეფექტური დარტყმით შეუჩერებლივ გაგზავნა დასაევის კარში, ისეთი სურათი შეიქმნა, თითქოს ჩვენს გუნდს ხსნა აღარ ჰქონდა. მაგრამ მან მაინც გამონახა ძალები და, თუმცა, სრული გარდატეხა თამაშში არ შეუტანია, საპასუხო ბურთის გატანა მაინც შეძლო. ეს პროტასოვმა მოახერხა 75-ე წუთზე.

კომენტატორთა უმრავლესობამ საბჭოთა ფეხბურთელთა თამაში ირლანდიის ნაკრებთან აშკარად სუსტად შეაფასა, განსაკუთრებით უფერულად მოქმედებდა გუნდი მეორე ტაიმის დასაწყისში, როცა იგი მარტოოდენ დაცვაზე ფიქრობდა, შეტევის რგოლში კი პერსპექტიული არაფერი ჰქონდა. კვლავ და კვლავ ყველაფერი დაცვისა და მეკარის ზურგზე გადადიოდა, დასაევის გარდა მინდორზე მხოლოდ ერთი აქტიური ფეხბურთელი ჩანდა — მიხაილიჩენკო.

ავსტრიის საინფორმაციო სააგენტომ გამოაქვეყნა ფეხბურთის ცნობილი სპეციალისტის უდო ლატეკის სიტყვები: „ამ გუნდს გაცილებით მეტი შეუძლია, ვიდრე ირლანდიელებთან აჩვენა"...

არის სხვა სპეციალისტთა კომენტარებიც: ჯეკი ჩარლტონი (ირლანდიის ნაკრების მწვრთნელი): „სსრ კავშირის ნაკრები სასწაულით გადაურჩა „ვატერლოოს". მწვრთნელის აზრით არბიტრს აუცილებლად უნდა დაენიშნა 11-მეტრიანი, როცა მეკარე დასაევი უხეშად შეეტაკა ირლანდიელთა ფორვარდს საჯარიმო მოედანზე. სპორტის დამსახურებული ოსტატი ვ. პონედელნიკი საწინააღმდეგო აზრისაა. მისი შეხედულებით მეკარე და თავდამსხმელი ერთნაირად შეეჯახნენ ერთმანეთს, დასაევს წესი არ დაურღვევია, რასაც კარგად ხედავდა ესპანელი არბიტრი ე. ალადრენი.

საბჭოთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი ვ. ლობანოვსკი მატჩის შემდეგ პრესკონფერენციაზე არ მოვიდა, ხოლო მეორე მწვრთნელმა ი. მოროზოვმა განაცხადა, რომ საბჭოთა ფეხბურთელებმა ამ მატჩში თავიანთი შესაძლებლობათა მხოლოდ 60 პროცენტი თუ გამოავლინეს. მან მაღალი შეფასება მისცა ირლანდიელებს, რომლებიც უფრო ძლიერნი იყვნენ.

საინტერესოა ცნობილი მეკარის სპორტის დამსახურებულ ოსტატ ანზორ კავაზაშვილის შეხედულება:

— კარგად ვიცი მოთამაშის ფსიქოლოგიური მდგომარეობა, როცა იგი ასეთ უკიდურესად საპასუხისმგებლო მატჩზე გამოდის სათამაშოდ. ეტყობა, ზედმეტმა ნერვიულობამ შებოჭა ჩვენი ფეხბურთელები, ალბათ, ამიტომ იყო, რომ გუნდმა უარი თქვა აქტიურ შემტევ ტაქტიკაზე და, ერთი ქულისთვის ბრძოლა ამჯობინა. მოთამაშეები გაუთავებლად უკან აწვდიდნენ ბურთს მეკარეს, არ იყო ურთიერთგაგება, საიმედო დაზღვევა, ნამდვილი ინიციატივა არავის გამოუჩენია. არ შეიძლებოდა უარი გვეთქვა იმ კოლექტიურ, გუნდურ თამაშზე, რომელმაც სულ ახლახან წარმატება მოგვიტანა ჰოლანდიელებთან შეხვედრაში. საბჭოთა ნაკრებმა მაშინ სწრაფად, ენერგიულად ითამაშა, ფეხბურთელები აქტიური სულისკვეთებით იყვნენ გამსჭვალული, ირლანდიელებთან კი გუნდი აშკარად დემორალიზებული ჩანდა, მხოლოდ მცველებისა და მეკარის იმედით ყოფნა ასეთ დიდმნიშვნელოვან მატჩებში მეტად საშიში საქმეა.

ერთი სიტყვით, საბჭოთა ფეხბურთელებმა მეორე შეხვედრა ევროპის ჩემპიონატზე თავიანთ შესაძლებლობებზე აშკარად სუსტად ჩაატარეს, ამასთან, საკმაოდ მძიმედ დაშავდა მეკარე დასაევი, ეს კი მნიშვნელოვან პრობლემებს უქმნის ჩვენს გუნდს.

გუშინ გაიმართა ჯგუფური ტურნირების ბოლო მატჩები, მიუნხენში ერთმანეთს შეხვდნენ გფრ-ესპანეთი, კიოლნში კი იტალია-დანია. დღეს მაინის ფრანკფურტში ერთმანეთს შეხვდებიან ინგლისისა და სსრ კავშირის გუნდები, გელზენკირჰენში კი ირლანდია — ჰოლანდია.

ნახევარფინალისტთა ვინაობაც სწორედ ამ ბოლო მატჩებში გაირკვევა. ვარიანტები ორივე ჯგუფში იმდენია, რომ მათი ჩამოთვლა სავსებით ზედმეტად მიგვაჩნია, შეგახსენებთ მხოლოდ, რომ თუ ჯგუფებში თამაშების დამთავრების შემდეგ ორმა, ან სამმა გუნდმა ქულათა თანაბარი რაოდენობა დააგროვა, ნახევარფინალის მონაწილეთა საკითხი გაირკვევა ჯერ გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობით, შემდეგ — გატანილი ბურთების მეტი რაოდენობით, და ბოლოს — ერთმანეთთან ჩატარებული მატჩების შედეგებით. თუ ყველა ეს მონაცემი ერთნაირი იქნა, ნახევარფინალის მონაწილეს წილისყრა გაარკვევს.

გულშემატკივრებს აძევებენ გფრ-დან

ყველამ კარგად იცის თუ რა პრევენტულ ზომებს მიმართავდნენ ევროპის ჩემპიონატის ორგანიზატორები თავიდან რომ აეცილებინათ ინგლისელ გულშემატკივართა ხულიგნური, თავხედური საქციელი. მაგრამ ყველაფერი ამაო გამოდგა, ინგლისელი ტურისტები არ ერიდებიან არაფეს, გფრ-ის ქალაქებში კვლავ აუწერელი ამბები ხდება, ამსხვრევენ რესტორნებს, მაღაზიების ვიტრინებს, მანქანებს, გულშემატკივრებს ზედ შუა ქუჩაში აქვთ გაფენილი გაზეთები, ზედ უყრიათ სანოვაგე და მაგარი სასმელები.

ევროპის ჩემპიონატზე ისეთი ამბები ხდება, რომ ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ გადაწყვიტა უეფა-ს ხელმძღვანელობიდან უკანვე გაიტანოს თავისი თხოვნა ინგლისის კლუბების ევროპის საკლუბო ტურნირებზე დაშვების თაობაზე. ამ ქვეყნის ფანატიკოსების საქციელი ისეთია, რომ ამგვარი თხოვნის ახლა უეფა-ში წარდგენა ყოვლად შეუძლებელია.

ხულიგნობის, ჩხუბისა და ვანდალური საქციელისთვის უკვე ოფიციალურად გააძევეს 371 გულშემატკივარი, პოლიციამ ხელთ ჩაიგდო მაშხალები, ცეცხლსასროლი იარაღი, დანები.

ერთი სიტყვით, გფრ-ის სტადიონებზე საფეხბურთო ბრძოლა მიმდინარეობს, ხოლო ქუჩებში — ხელჩართული მუშტი-კრივი.

ოლიმპიური თამაშების დედაქალაქში

ზაფხულის მომავალი ოლიმპიური თამაშების დედაქალაქ სეულში მიმდინარეობს წინასაოლიმპიადო საერთაშორისო საფეხბურთო ტურნირი, რომელშიც სსრ კავშირის კლუბების ნაკრებიც მონაწილეობს. საბჭოთა ფეხბურთელთა პირველი მეტოქე იყო ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრები. ანგარიშით 1:0 გაიმარჯვა ჩვენმა გუნდმა, ბურთი მე-19 წუთზე გაიტანა გორლუკოვიჩმა.

„ც" ჯგუფში, სადაც საბჭოთა ფეხბურთელები გამოდიან, თამაშობენ, აგრეთვე, ინგლისის „ქუინ პარკი" და ნიგერიის ოლიმპიური ნაკრები. „ა" ჯგუფში სამხრეთ კორეის ფეხბურთელებმა ანგარიშით 5:1 დაამარცხეს იტალიის გუნდი.

ფეხბურთი

I ლიგა

16 ივნისს გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების XV ტურის მატჩები.

„გურია" (ლანჩხუთი) — „კოტაიკი" (აბოვიანი) 1:0 (0:0)

ლანჩხუთი. „გურიის" სტადიონი. 16 ივნისი.

„გურია": ქანთარია, ბონდარუკი (კაბისაშვილი), ანდღულაძე, დანელია, პარხომენკო, ცომაია, ჟორდანია, ხლუსი, გოგიჩაიშვილი (ბარათაშვილი), ფრიდონაშვილი, გოგრიჭიანი (იაგოვკი).

„კოტაიკი": სუქიასიანი, გევორქიანი, ბაღდასარიანი (მირზოიანი), ფარსადანიანი, სააკიანი, პოღოსიანი, მელქონიანი (ახლანიანი), ხაჩატრიანი, ალახიანი, აკოფიანი, მხითარიანი.

მსაჯი ო. ჩინენოვი (მოსკოვი).

მთელი რიგი აშკარად უფერული, დაბალ დონეზე ჩატარებული მატჩების შემდეგ ლანჩხუთელმა ფეხბურთელებმა კარგად ითამაშეს „კოტაიკთან". მასპინძლები ბევრს უტევდნენ, ბურთის გატანის რამდენიმე ნაღდი შესაძლებლობა ვერ გამოიყენა ხლუსმა, ჟორდანიას ძლიერი დარტყმა ძელს მოხვდა, გოლის გატანა „გურიამ" მხოლოდ შესვენების შემდეგ შეძლო, ერთ-ერთი იერიშისას კარის სიახლოვეს ბურთი მიიღო ჟორდანიამ და ზუსტად გაგზავნა კარში — 1:0. მასპინძლებს შემდგომშიც შეეძლოთ კიდევ უფრო გაეუმჯობესებინათ შედეგი, მაგრამ ვერ გამოიყენეს რამდენიმე კარგი შესაძლებლობა.

მოპოვებული გამარჯვების მიუხედავად ლანჩხუთელ ფეხბურთელთა თამაშში ჯერ კიდევ მრავალი ხარვეზი იგრძნობა, მათი გამოსწორებისთვის კოლექტივს ბევრი შრომა მართებს.

ავთანდილ ორმოცაძე.
(ტელეფონით, „ლელოს" კორ.).

„დინამო" (ბათუმი) — „ყუბანი" (კრასნოდარი) 1:0 (0:0).

ბათუმი. „დინამოს" სტადიონი. 16 ივნისი.

„დინამო": ბალაძე, მენაბდე (მაჭუტაძე), შ. მახარაძე, დურდიაძე, ჩიქოვანი, მჭედლიშვილი, თორღაშვილი (აშბა), ათუაშვილი, ბიგვავა, დ. მახარაძე (შანიძე), მაისურაძე.

„ყუბანი": კულიში, ბაგაპოვი, ბუგაი, იუდინი (სუსკოვი), შიტიკოვი, გორიუნოვი, დორონჩენკო (კოსტანიანი), მირნი, რუდკო (სობოლი), სიდორენკო, პოდოლიაკი.

მსაჯი ი. ბრისონ (ლვოვი).

ბათუმის „დინამოს" ფეხბურთელთა კოლექტივი, როგორც ცნობილია, წლეულს ძალზე არასახარბიელო მდგომარეობაში იმყოფება. გუნდს ახლა მთავარ მწვრთნელად დაუნიშნეს შოთა ჭეიშვილი.

„ყუბანთან" თამაშის წინ ვესაუბრეთ ახალ მწვრთნელს:

— ბათუმის „დინამო", სამწუხაროდ, საკუთარ მინდორზეც კარგავს ქულებს. წუწუნისა და ჩივილის დრო ახლა არაა, თვით „დინამოს" თითოეულმა წევრმა, გუნდთან დაახლოებულმა ადამიანებმა, გულშემატკივრებმა ყველაფერი უნდა ვიღონოთ ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად. ჩემი აზრით, ჯერ კიდევ დასრულებული არ არის გუნდის კომპლექტაცია, განზრახული გვაქვს რამდენიმე ფეხბურთელის მოწვევა რესპუბლიკის სხვა გუნდებიდან, პირველი წრის დასასრულისთვის საჭიროა ოპტიმალურად დავაზუსტოთ შემადგენლობა. მეორე წრის დაწყებამდე ორკვირიანი შესვენება გვექნება, რომელიც მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ.

ახლა თვით მატჩის შესახებ. მასპინძლებს პირველ ტაიმში მცირე ტერიტორიული უპირატესობა ჰქონდათ, მაგრამ რეალური საგოლე მომენტი მეტოქის კართან არ შეუქმნიათ, შორეული დარტყმები კი უმთავრესად უზუსტო იყო. აღსანიშნავია, აგრეთვე, დინამოელთა ტაქტიკური ერთფეროვნებაც.

შესვენების შემდეგ მასპინძლები შედარებით გააქტიურდნენ, 71-ე წუთზე სტუმრებმა უხეშად ითამაშეს თავიანთ საჯარიმო მოედანზე, 11-მეტრიანი ზუსტად დაარტყა თორღაშვილმა — 1:0.

მატჩის დამთავრების შემდეგ კვლავ ვეწვიეთ შ. ჭეიშვილს,

— დინამოელები ინერტულად, უინიციატივოდ თამაშობენ, ბევრ მათგანს აკლია ოსტატობა, სასწრაფო ზომებს უნდა მივმართოთ, რათა გუნდი პირველი ლიგიდან „დათხოვნის" საშიშროებას გადავარჩინოთ.

ლევან ქავჟარაძე.
(ტელეფონით, „ლელოს" საკ. კორ.).

ტურის სხვა შეხვედრათა შედეგები: „დინამო" (სტავროპოლი) — „ზვეზდა" (პერმი) 2:0, „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) — „გეოლოგი" (ტიუმენი) 4:0, „შინიკი" (იაროსლავლი) — ასკ (დონის როსტოვი) 1:1, „ტავრია" (სიმფეროპოლი) — „როტორი" (ვოლგოგრადი) 3:0, „ზარია" (ვოროშილოვგრადი) — „დაუგავა" (რიგა) 3:2, „როსტსელმაში" (დონის როსტოვი) — ასკ „კარპატი" (ლვოვი) 2:1, „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) — „ფახთაქორი" (ტაშკენტი) 1:1, „კოლოსი" (ნიკოპოლი) — „პამირი" (დუშანბე) 0:2, „კუზბასი" (კემეროვო) — ცსკა 0:0.

19 ივნისს ჩვენი გუნდები კვლავ შინ გამოდიან: „გურია" მიიღებს „ყუბანს", ხოლო ბათუმის „დინამო" — „კოტაიკს".

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 18 ივნისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„პამირი"	15	9	5	1	28-12	23
„დინამო" სტ.	15	9	4	2	22-10	22
ცსკა	15	8	4	3	20-9	20
„გეოლოგი"	14	8	2	4	18-17	18
ასკ რ.	14	7	3	4	20-16	17
„კოტაიკი"	15	7	2	6	20-23	16
„როსტსელ."	14	6	4	4	19-14	16
„ტავრია"	14	5	6	3	15-10	16
„ფახთაქორი"	15	5	6	4	19-16	16
„როტორი"	14	7	1	6	19-15	15
ასკ „კარპატი"	14	6	2	6	21-13	14
„სპარტაკი"	15	6	2	7	23-25	14
„გურია"	14	6	1	7	14-17	13
„შინიკი"	14	5	3	6	13-17	13
„ყუბანი"	15	5	3	7	15-20	13
„კუზბასი"	15	5	3	7	9-17	13
„დაუგავა"	14	4	4	6	16-16	12
„ზარია"	14	4	4	6	18-19	12
„კოლოსი"	14	4	2	8	10-16	10
„მეტალურგი"	14	2	6	6	7-17	10
„დინამო" ბ.	14	4	0	10	10-20	8
„ზვეზდა"	14	0	5	9	9-26	5

II ლიგა

გაიმართა II ლიგის III ზონის ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის XII ტურის მატჩები: „მერცხალი" (მახარაძე) — „ლორი" (კიროვაკანი) 4:0, „ოლიმპია" (ლენინაკანი) — „კოლხეთი" (ფოთი) 1:1, „ტორპედო" (ტაგანროგი) — „ვოლგარი" (ასტრახანი) 3:1, „ლუჩი" (აზოვი) — „ურალანი" (ელისტა) 1:0.

სსრ კავშირის ჩემპიონატი რაგბიში

რაგბისტთა საკავშირო ჩემპიონატის XIII ტურში ქვეყნის ჩემპიონი და წლევანდელი გათამაშების ლიდერი — ქუთაისის „მშენებელი" ვიცე-ჩემპიონსა და უახლოეს „მდევარს" — გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემიის გუნდს ეწვია. მართალია, ანგარიში ქუთაისელებმა გახსნეს (ბურთი არეკნით გაიტანა ყორყოლიანმა), მაგრამ შემდეგ მირონოვმა (საჯარიმო დარტყმებით) და სოროკინმა (დამიწებით) დააწინაურეს მასპინძლები — 10:3. მატჩის ბედი თითქოს გადაწყვეტილი იყო, მაგრამ ქართველი რეგბისტები ბედს არ შეურიგდნენ, იერიშზე გადავიდნენ და შეხვედრის მიწურულს ჯერ ნაჭყებიამ გაიტანა ლელო, შემდეგ ძაგნიძემ ზუსტად დაარტყა რეალიზაცია და არახელსაყრელ პოზიციაში დანიშნული საჯარიმოც. ანგარიშით 12:10 გაიმარჯვა „მშენებელმა" და თავის ტრადიციულ მეტოქეს ახლა უკვე 5 ქულით უსწრებს.

ამავე ტურში თბილისის რკინიგზელთა გუნდი მოსკოვში, ადგილობრივ „სლავას" ეთამაშა. სტუმრებმა შეხვედრის მიწურულს ხელიდან გაუშვეს ლელოს გატანის ნაღდი შესაძლებლობა და მატჩიც წააგეს — 18:22. თბილისელთაგან ლექავამ შეაგდო ხუთი საჯარიმო, ჩიქვინიძემ — ერთი არეკნი.

სხვა მატჩების შედეგები: „ფილი" — „ავიატორი" 12:17, „ლოკომოტივი" — ტირასპოლი 14:0, ლენინგრადი — „ზვეზდა" 9:0, ეტს — ასკ 6:6, „ლოკომოტივი" — „ავიატორი" 10:6 (XIV ტურის მატჩი).

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 18 ივნისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ქ.	
„მშენებელი"	13	12	1	0	38	(—1)
„ლოკ." (მ.)	14	9	2	3	34	(—8)
ხსა (მონინო)	13	10	0	3	33	(—6)
„ავიატ." (კ.)	14	9	0	5	32	(—10)
„სლავა" (მ.)	13	9	0	4	31	(—8)
ეტს (კრასნ.)	13	6	2	5	27	(—12)
არკ	13	6	1	6	26	(—13)
ასკ (ა.-ა.)	13	5	3	5	26	(—13)
„ელ." (ტირ.)	13	2	2	9	19	(—20)
„ზვ." (ტაშკ.)	13	2	0	11	17	(—22)
„ელ." (ლენ.)	12	1	1	10	15	(—21)
„ფილი" (მ.)	12	1	0	11	14	(—22)

„სპორტპროგნოზი"

23-ე ტირაჟის შედეგები

(4-6 ივნისი)

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა „სპორტპროგნოზის" 23-ე ტირაჟის შედეგები, რომელიც 1988 წლის 4-6 ივნისს გაიმართა.

ტირაჟში დაშვებულია 3.152.734 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (1937) მოგებამ შეადგინა 30 მანეთი, 12 შედეგის გამოცნობისთვის (21.609) — 6 მანეთი, 11 შედეგის გამოცნობისთვის (138.606) — 2 მანეთი.

23-ე ტირაჟის მოგებები გაიცემა 1988 წლის 27 ივნისიდან 27 ივლისის ჩათვლით.

საქართველოს პირველობა

განვლილ შაბათ-კვირას გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის XV ტურის შეხვედრები:

I ჯგუფი

„დურუჯი" (ყვარელი) — „ივერია" (ხაშური) 4:1. მსაჯი ვ. მიმინოშვილი (თბილისი). გოლები: ელოევი, სანადირაძე, ლვინიაშვილი, მექვაბიშვილი („დურუჯი"), ოსაძე („ივერია").

„სამეგრელო" (ჩხოროწყუ) — „სპარტაკი" (ცხინვალი) 6:2. მსაჯი ვ. ეჯიბია (თბილისი). გოლები: ახალაია, ქარჩავა, ი. სიჭინავა-2, ციმაკურიძე, დარსალია („სამეგრელო"), ჩოჩიევი-2 („სპარტაკი").

„არმაზი" (მცხეთა) — „დინამო" (ზუგდიდი) 2:2. მსაჯი ვ. ალიევი (თბილისი). გოლები: სოლოღაშვილი-2 („არმაზი"), ჯიქია, შეროზია („დინამო").

„ამირანი" (ოჩამჩირე) — „სქური" (წალენჯიხა) 3:0. მსაჯი შ. ხანიაშვილი (თბილისი). გოლები: გოგოლაშვილი, ქობალია-2 („ამირანი").

„კოლხეთი" (ხობი) — „სალხინო" (გეგეჭკორი) 2:1. მსაჯი გ. მიქაუტაძე (ქუთაისი). გოლები: ქომეთიანი, ლატარია („კოლხეთი"), ოდიშარია („სალხინო").

„მეტალურგი" (ზესტაფონი) — „საპოვნელა" (თერჯოლა) 2:2. მსაჯი ზ. ჯინჭარაძე (მახარაძე). გოლები: კიკნაძე, შარაშიძე („მეტალურგი"), ჩინჩალაძე-2 („საპოვნელა").

უხეში თამაშისთვის გააფრთხილეს მ. ვარდოსანიძე („მეტალურგი"). ასევე უხეში თამაშისთვის გააფრთხილეს ი. ჯულაყიძე და თ. უქლება, მსაჯთან კამათისთვის კი თ. ჯანიაშვილი (სამივე — „საპოვნელა").

„მეშახტე" (ტყიბული) — „სულორი" (ვანი) 0:3. მსაჯი ა. კოკაია (თბილისი). გოლები: კიკალეიშვილი, პაიკიძე, ორმოცაძე („სულორი").

„ქართლი" (გორის რ-ნი) — „მადნეული" (ბოლნისი) 1:0. მსაჯი რ. ფარცვანია (ზუგდიდი). გოლი: ბესტაევი („ქართლი").

უხეში თამაშისთვის გააფრთხილეს ი. ყურაშვილი, ხოლო მსაჯთან კამათისთვის — ბად. უგულავა (ორივე — „მადნეული")

„შადრევანი" (წყალტუბო) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 2:0. მსაჯი ი. გობრონიძე (ფოთი). გოლები: კუხიანიძე, სვანაძე („შადრევანი").

„დინამო". (გაგრა) — „ეგრისი" (ცხაკაია) 4:0. მსაჯი გ. თხელიძე (თბილისი). გოლები: მოსიავა, გოგიაშვილი, რაგანიანი-2 („დინამო").

„მაღაროელი" (ჭიათურა) — „ბახტრიონი" (ახმეტა) 3:2. მსაჯი რ. გარნოვსკი (სამტრედია). გოლები: ხუბულური-2, სევასტოპულო („მაღაროელი"), თედეშვილი, ორმოცაძე („ბახტრიონი").

მსაჯთა რეესტრი

18-19 ივნისი

„ივერია" (ხაშური) — „ბახტრიონი" (ახმეტა). **მ. კობიაშვილი, ა. შილაკაძე, მ. ბიძინაშვილი** (თბილისი). „საპოვნელა" (თერჯოლა) — „სამეგრელო" (ჩხოროწყუ). **რ. ვერულაშვილი, თ. ხადილიანი, ა. მანუკიანი** (თბილისი). „სულორი" (ვანი) — „მეტალურგი" (ზესტაფონი). **ვ. შელია, გ. მიქაუტაძე, პ. დოგრაშვილი** (ქუთაისი). „სქური" (წალენჯიხა) — „შადრევანი" (წყალტუბო). **თ. ლორთქიფანიძე, ჯ. მგელაძე, დ. გაგნიძე** (თბილისი). „სალხინო" (გეგეჭკორი) — „ამირანი" (ოჩამჩირე). **ტ. ნიშნიანიძე, ა. კოკაია, ნ. კილაძე** (თბილისი). „დინამო" (გაგრა) — „მაღაროელი" (ჭიათურა). **დ. გაგნიძე** (თბილისი), **დ. გვაზავა** (აბაშა), **ი. კახიანი** (სამტრედია). „სპარტაკი" (ცხინვალი) — „დურუჯი" (ყვარელი). **ა. შილაკაძე, მ. კობიაშვილი, ნ. ბიძინაშვილი** (თბილისი). „დინამო" (ზუგდიდი) — „მეშახტე" (ტყიბული). **ჯ. წერეთელი, ე. გვარამაძე, მ. ფოლადაშვილი** (რუსთავი). ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „ქართლი" (გორის რ-ნი). **შ. ხანიაშვილი, ბ. თოფურია, გ. ხეჩუაშვილი** (თბილისი). „ეგრისი" (ცხაკაია) — „კოლხეთი" (ხობი). **ა. კოკაია, ნ. კილაძე, ტ. ნიშნიანიძე** (თბილისი). „მადნეული" (ბოლნისი) — „არმაზი" (მცხეთა). **ზ. დარჩია** (თბილისი), **გ. შავგულიძე** (რუსთავი), **დ. რეხვიაშვილი** (გარდაბანი).

ფეხბურთში საქართველოს პირველობაში მონაწილე I ჯგუფის გუნდებმა 22-დან 30 ივნისის ჩათვლით უნდა ჩააბარონ სავალდებულო ნორმატივები ფიზიკურ მომზადებასა და ფეხბურთის თამაშის წესების ცოდნაში (გასაუბრება).

ვაქვეყნებთ ნორმატივების მიღების განრიგს:

22 ივნისი. „მეშახტე" (ტყიბული), „ქართლი" (გორის რაიონი), „მეტალურგი" (ზესტაფონი), „სპარტაკი" (ცხინვალი), „საპოვნელა" (თერჯოლა), „მაღაროელი" (ჭიათურა).

23 ივნისი. „კოლხეთი" (ხობი), „სქური" (წალენჯიხა), „ამირანი" (ოჩამჩირე), „დინამო" (ზუგდიდი), „დინამო" (გაგრა), „ეგრისი" (ცხაკაია).

29 ივნისი. „მადნეული" (ბოლნისი), „სამეგრელო" (ჩხოროწყუ), ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი), „დურუჯი" (ყვარელი), „სალხინო" (გეგეჭკორი), „ბახტრიონი" (ახმეტა).

30 ივნისი. „შადრევანი" (წყალტუბო), „სულორი" (ვანი), „ივერია" (ხაშური), „არმაზი" (მცხეთა).

ზემოთ მოყვანილ ვადებში ადგილებზე ჩავლენ მიმღები კომისიები, გუნდების ხელმძღვანელები ვალდებული არიან მომზადონ თავიანთი გუნდები ნორმატივების ჩასაბარებლად და მთლიანი შემადგენლობით წარუდგინონ კომისიის წევრებს.

II ჯგუფი

აღმოსავლეთი ქვეჯგუფი

„ალგეთი" (მარნეული) — სპი „დინამო"-3 (თბ.) 2:0, „თორი" (ბორჯომი) — „მეფრინველე" (კასპი) 2:1, „მეტალისტი" (რუსთავი) — ახ. საფ. სკოლა (თბილისი) 2:0, „თრიალეთი" (წალკა) — „ფოსტამტი" (თბილისი) 3:3, „აბული" (ახალქალაქი) — „არაგვი" (დუშეთი) 1:2, „ჰერეთი" (ლაგოდეხი) — „მესხეთი" (ახალციხე) 3:2, „ვარძია" (ასპინძა) — „იმედი" (თბილისი) 1:0, სსი-(მუხრანი) — „კახეთი" (თელავი) 2:0, „სამგორი" (გარდაბანი) — უნივერსიტეტი (თბილისი) 7:0.

დასავლეთი ქვეჯგუფი

„ჩიბათი" (ლანჩხუთი) — „ოდიში" (ზუგდიდი) 1:0, „ბახმარო" (ჩოხატაური) — „დვაბზუ" (მახარაძე) 0:2, „დარჩელი" (ზუგდიდის რ-ნი) — „ქიმიკოსი" (ამბროლაური) 0:0, „მამისონი" (ონი) — „მზიური" (გალი) 1:4, „ნარინჯი" (ქობულეთი) — „კოლხეთი"-2 (ფოთი) 3:0, „იმერეთი" (წულუკიძე) — „საირმე" (მაიაკოვსკი) 0:3, „ჩხერიმელა" (ორჯონიკიძე) — „ჩიხურა" (საჩხერე) 4:1, ხდკ (სამტრედია) — პოლიტექნიკური ინსტიტუტი (ქუთაისი) 0:1.

III ჯგუფი

აღმოსავლეთი ქვეჯგუფი

„შირაქი" (წითელწყარო) — „გარეჯი" (საგარეჯო) 0:0, „გარისი" (თეთრი წყარო) — „განთიადი" (დმანისი) 2:0, „სინათლე-სპორტინტერნატი" (თბ.) — „ალმაზი" (გურჯაანი) 1:3, „ნაფარეული" (თელავის რ-ნი) — „დუშეთი" (ქვემო ალვანი) 0:1, „კოლმეურნე" (მარნეული) — „მარაბდა" (კოდა) 2:1, „სინათლე-სპორტინტერნატი" თბ.) — „ვარდისუბანი" (ლაგოდეხის რ-ნი) 1:2.

ცენტრალური ჯგუფი

„მშენებელი" (ჭიათურა) — „მეავეჯე" (ახალდაბა) 3:2, „ცენტრმეტალურგმშენი" (ზესტაფონი) — „მეშაქრე" (აგარა) 7:0, „ფეიქარი" (ხაშური) — „ლიახვი" (ცხინვალის რ-ნი) 2:1, „ორპირი"-ოკრიბა — (ტყიბული) — „ავტომობილისტი" (გორი) 3:2, „ხვამლი" (ცაგერი) — „ზარზმა" (ადიგენი) 2:1, „იბერია" (ქარელი) — „ჭოგნარი" (თერჯოლის რ-ნი) 4:1.

დასავლეთი ქვეჯგუფი

„კახაბერი" (ხელვაჩაურის რ-ნი) — „ბეთლემი" (ქედა) 0:0, „მელექედური" (მახარაძე) — „ალიონი" (გალის რ-ნი) 4:1, „ზანა" (აბაშა) — უნივერსიტეტი (სოხუმი) 2:2, „სუბტროპიკი" (სოხუმი) — „კოლხიდა" (ქუთაისი) 3:1.

გთავაზობთ წინა ტურში გამოტოვებულ შეხვედრათა შედეგებს: თსუ (თბილისი) — ასს (თბილისი) 2:2, „დვაბზუ" (მახარაძე) — „ჩხერიმელა" (ორჯონიკიძე) 4:1, „მშენებელი" (ჭიათურა) — „ბაგიათი" (ჯავა) 3:0, „ჭოგნარი" (თერჯოლა) — „ცენტრმეტალურგმშენი" (ზესტაფონი) 3:2, „ლიახვი" (ცხინვალის რ-ნი) — „ქვემო ჭალა" (კასპის რ-ნი) 2:0, „ალიონი" (გალის რ-ნი) — „ახალსოფელი" (ზუგდიდის რ-ნი) 2:1.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 18 ივნისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სულორი"	15	11	3	1	21-7	25
„კოლხეთი"	15	11	1	3	35-18	23
„დინამო" ზ.	15	8	6	1	29-12	22
„შადრევანი"	15	7	5	3	20-13	19
„ამირანი"	15	8	2	5	26-14	18
„სამეგრელო"	15	8	1	6	25-22	17
„მადნეული"	15	7	3	5	24-23	17
„დინამო" გ.	15	7	2	6	20-17	16
„დურუჯი"	15	5	6	4	19-19	16
„სალხინო"	15	6	3	6	22-24	15
„მაღაროელი"	15	6	3	6	20-22	15
„ბახტრიონი"	15	6	3	6	18-20	15
„მეტალურგი"	15	6	2	7	25-23	14
„მეშახტე"	15	6	2	7	12-17	14
„საპოვნელა"	15	5	3	7	23-20	13
„ქართლი"	15	5	3	7	19-28	13
ფიზ. ინ. თბ.	15	3	6	6	22-28	12
„ივერია"	15	4	3	8	15-26	11
„სპარტაკი"	15	3	3	9	21-28	9
„სქური"	15	3	3	9	16-27	9
„ეგრისი"	15	2	5	8	12-26	9
„არმაზი"	15	2	4	9	17-27	8

ზნამენსკების მემორიალზე

როგორც „ლელოს" მკითხველებმა იციან, ლენინგრადში დამთავრდა ძმები ზნამენსკების ხსოვნისადმი მიძღვნილი მძლეოსანთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი, სადაც რამდენიმე მაღალ შედეგთან ერთად, მსოფლიო რეკორდიც აღინიშნა; მოსკოველი გალინა ჩისტიაკოვა 7 მეტრსა და 52 სანტიმეტრზე გადახტა.

ამ შეჯიბრებაში საქართველოს რამდენიმე მძლეოსანი მონაწილეობდა, ტარიელ ბიწაძემ ბირთვი 20,15 მეტრზე ჰკრა და V ადგილი დაიკავა. საიდა გუნბა VI იყო შუბის ტყორცნაში — 61,60 მ. მაია აზარაშვილი 400-მეტრიან დისტანციაზე ასპარეზობდა და VII ადგილზე გავიდა — 52,15. IX შედეგი ჰქონდა ბესიკ გოცირიძეს 200 მეტრზე რბენაში — 21,07. ოლეგ სტრიჟაკოვი 5-კილომეტრიან დისტანციაზე გამოვიდა, იგი V იყო — 13.46,0.

ტელეტაიპი-მეოთხეული

უესტ კერბი (ინგლისი). ჩოგბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირის მეოთხედფინალში მოსკოველი ანდრეი ჩესნოკოვი ამერიკელ სტუდენტთან კრისტო ვან რენსბერგთან დამარცხდა — 2:6, 1:6.

ისტბორნი (ინგლისი). ქალთა ანალოგიური ტურნირის მეოთხედფინალში ლარისა სავჩენკო მსოფლიოს მეორე ჩოგანს ამერიკელ მარტინა ნავრატილოვას შეხვდა. გამარჯვება გამოცდილმა ამერიკელმა მოიპოვა — 6:4, 6:4.

ხარინგფილდი (აშშ). სსრ კავშირის ფრენბურთელ ვაჟთა ოლიმპიურმა ნაკრებმა ორი შეხვედრა ჩაატარა ამერიკის შეერთებულ შტატებში და ორივე წააგო, პირველი ანგარიშით — 1:3, მეორე—0:3.

პრაღა. როშიცკის მემორიალზე მოსკოველმა გალინა **ჩისტიაკოვამ,** რომელმაც ამას წინათ სიგრძეზე ხტომაში მსოფლიო რეკორდი დაამყარა, ამჯერად მხოლოდ 718 სანტიმეტრი დასძლია.

სილონი (ჩინეთი). ზაფხულის ოლიმპიადის დაწყებამდე 3 თვით ადრე ადგილობრივი ძალოსნები კარგ სპორტულ ფორმაში არიან. ასე მაგალითად, ხე ჩჟუოციანმა და ხე ინციანმა აქ გამართულ საერთაშორისო ტურნირში ახალი მსოფლიო რეკორდები დაამყარეს.

კასაბლანკა. მხოლოდ ვიდეოჩანაწერის დეტალური ანალიზის შემდეგ დადგინდა, რომ მაროკოელი სტაიერის საიდ აუიტას შედეგი ორ მილზე რბენაში მსოფლიო რეკორდი არ იყო. თავდაპირველად წამმზომმა 8.13,45 დააფიქსირა, მაგრამ, შეცდომა გასწორდა. აუიტას დისტანცია 8.14,05-ში გაურბენია.

სცენაზეა იოგა

ეროვნული ბიბლიოთეკა

16 ივნისს გორკის სახელობის კულტურის სახლის დირექციამ შეხვედრა მოუწყო საქართველოს კულტურის დამსახურებულ მუშაკს ალექსი იაკობაშვილს. ვინც ჩვენს გაზეთს კითხულობს, ალბათ, მიხვდებოდა, რა მიზნით მოეწყო საღამო. ა. იაკობაშვილი იოგას ცნობილ სპეციალისტად ითვლება და შეხვედრაც მაყურებელს ამ უძველეს მოძღვრებასთან გაცნობას ჰპირდებოდა.

ხალხით გაჭედილი დარბაზი ერთხანს დაძაბულად და თითქოს უნდობლადაც უსმენდა ა. იაკობაშვილს და მის ასისტენტს ნუკრი ლვინიაშვილს, შეკითხვაც ბევრი დაისვა. შემდეგ კი, როდესაც ხელმძღვანელმა და მისმა ასისტენტმა იოგას უმდიდრესი არსენალიდან რამდენიმე საოცარი ილეთი წარმოადგინეს, დარბაზში ტაშმა იქუხა. უშუალო მაგალითმა მართლაც დიდი ეფექტი მოახდინა მაყურებელზე. გაიმართა საინტერესო საუბარი.

ცისფერ ეკრანზე

ცენტრალური ტელევიზია. 18 ივნისი. დილის ტანვარჯიში — **9.00 (2);** ევროპის ჩემპიონატი ფეხბურთში: იტალია (ნაკრები) — დანია (ნაკრები). 17 ივნისის მატჩის მეორე ნახევრის ვიდეოჩანაწერი — **16.00 (2);** ინგლისი (ნაკრები) — სსრ კავშირი (ნაკრები) — **18.25 (1);** ირლანდია (ნაკრები) — ჰოლანდია (ნაკრები). მეორე ტაიმი — **1.10 (1).**

საქართველოს ტელევიზია. 18 ივნისი. ევროპის ჩემპიონატი ფეხბურთში: იტალია (ნაკრები) — დანია (ნაკრები) — **16.00,** ინგლისი (ნაკრები) — სსრ კავშირი (ნაკრები) — **18.25,** ირლანდია (ნაკრები) — ჰოლანდია (ნაკრები) — **1.10.**

სპორტულ ბაზებზე

ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. 19 ივნისი. „ლოკომოტივის" სტადიონი. **ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „ქართლი" (გორის რაიონი).** დასაწყისი 18 ს. 30 წ.

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.



23-24-25-26 ივნისს თბილისის სპორტის სასახლეში ჩატარდება XIX საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში.

მონაწილეობენ: იაპონიის, აშშ-ის, გფრ-ის, ესპანეთის, საფრანგეთის, თურქეთის, სამხრეთ კორეის, ბრაზილიის, კვიპროსის, იტალიის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიის, მონღოლეთის, უნგრეთის, პოლონეთის, კუბის, გდრ-ის, ტაილანდის, სსრკ-ს და საქართველოს უძლიერესი ძიუდოისტები.

შეჯიბრება ყოველ დღეს 13 საათზე დაიწყება.

გათამაშდება ავტომანქანა „ჟიგული" ვაზ-21063 და ფეხბურთის ბურთები.

ბილეთები და სპორტული ლატარია გაიყიდება სპორტის სასახლის სალაროებში.

ინდექსი 76466. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის ქ. 39. უე 05384